პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 114 (11420)

ოთხშაბათი, 20 მაისი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის მინისტრები სარდარ სვარან სინგჰი და მანუბჰაი მანსუქჰლალ შაჰი

19 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ფოლადის, წიაღისა და სათბობის მინისტრი სარდარ სვარან სინგჰი და ინდოეთის მრეწველობის მინისტრი მანუბჰაი მანსუქჰლალ შაჰი, რომელნიც მოსკოვში იმყოფებიან, და საუბარი ჰქონდა მათთან.

საუბარს დაესწრნენ: ინდოეთის მხრივ — ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი და ინდოეთში სსრ კავშირის საელჩოს ეკონომიური მრჩეველი ვ. ა. სერგეევი.

საუბარმა მეგობრულ და გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა, მოსკოვი. 18 მაისს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმი. მოხსენებას აკეთებს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ა. ა. სურკოვი.

ფოტო ვ. ხავოსტიანოვისა და ნ. სიტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა

18 მაისს კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა.

დღის 12 საათისათვის კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზი დელეგატებითა და სტუმრებით აივსო. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს **ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოროტჩენკოს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ს. პოლიანსკის,** როცა ისინი მთავრობის ლოჟებში შემოვიდნენ.

ყრილობას ხსნის მწერალი კონსტანტინე ფედინი. მან თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ლიტერატურა განუყოფელია საბჭოთა ხალხის ისტორიისაგან. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცოცხალი გამოცდილება, ყოველივე ახალი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის ახალ და ღრმა შინაარსს.

ორატორი ამბობს, რომ სკკპ XXI ყრილობამ მოუწოდა მთელ ჩვენს ქვეყანას ახალი წარმატებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში. ისტორია, თქვა მან, შევიდა ახალ ეტაპში, რომელიც მოამზადა საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე გამარჯვებმა.

შეკრებილთა სახელით კ. ფედინი სულით და გულით მიესალმა საზღვარგარეთელ მწერლებს, რომლებიც ყრილობას ესწრებიან.

სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა გახსნილად ცხადდება. წარმოებს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბება. ირჩევენ პრეზიდიუმს 69 კაცის შემადგენლობით.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამტკიცებენ ყრილობის დღის წესრიგს:

1. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები კომუნისტურ მშენებლობაში.
2. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.
4. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

სიტყვა მოხსენებისათვის „საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები კომუნისტურ მშენებლობაში“ ეძლევა ა. ა. სურკოვს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლიანი გეგმის პირველი გაზაფხულის საოცარ დღეებში შეიკრიბა ჩვენი მესამე ყრილობა, ამბობს ა. სურკოვი. კომუნისტური მშენებლობის გაბედული გაქანება აღაგზნებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწის გულს, შთააგონებს და მოუწოდებს შექმნან ახალი ნიჭიერი ნაწარმოებნი კომუნიზმის მშენებლებზე, მათს გმირულ საქმეებზე. პარტიის მხარდაჭერით ძლიერნი, ჩვენს ყრილობაზე ფართო დისკუსიაში იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ ყველას გვაღელვებს, გამოვნახავთ იმ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის უმოკლეს და სწორ გზას, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს ლიტერატურის ზრდის გაქანებაზე, ამბობს ა. სურკოვი, უნდა ვიცოდეთ, რომ ყრილობებს შორის განვლილ წლებში ჩვენს ქვეყანაში გამოსული წიგნები გადიდდა ნახევრით და მეტით, ხოლო მათი ტირაჟი თითქმის სამი მეოთხედით გაიზარდა, განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა მოძმე ეროვნებათა მწერლების წიგნების გამოცემა. ოთხ წელიწადში გამოშვებულ წიგნთა შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს ახალი ავტორების წიგნებს. ლენინური პრემიის ლაურეატების მაღალი წოდება მიენიჭათ: ლეონიდ ლეონოვს რომანისათვის „რუსული ტყე“, ფუხთარ აუეზოვს რომანისათვის „აბაი“, ნიკოლოზ პოგოდინს დრამატული ტრილოგიისათვის ვ. ი. ლენინის შესახებ. ლაურეატების წოდება გარდაცვალების შემდეგ მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირს, თათარი ხალხის სახელოვან შვილს მუსა ჯალილს, მწერალს და კინორეჟისორს ალექსანდრე დოვჟენკოს.

ამხ. სურკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლებმა საკადრისი პასუხი გასცეს რევიზიონიზმის ტენდენციებს ლიტერატურაში, კვლავ და კვლავ შეამოწმეს თავიანთი იდეური აღჭურვილობა, უფრო მჭიდროდ დაარაზმნენ კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

მესამე ყრილობის ყველა დელეგატისა და ყველა საბჭოთა მწერლის სახელით ა. სურკოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს იმ მძლავრი იდეური დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ ისინი მთელ მხატვრულ ინტელიგენციას, და უწინარეს ყოვლისა ლიტერატორებს, რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ცნობილი საუბრები მწერალთა აქტივთან, ამბობს იგი, ჩვენთვის იყო პოლიტიკური აღზრდის შესანიშნავი სკოლა. საპროგრამო პარტიულ დოკუმენტში „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ განზოგადებული იდეები, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა, მისი დებულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზის შესახებ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პარტიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ღრმა და ძლიერი შინაარსია, იმ პოლიტიკის განვითარების მკაფიო ნიმუშია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ვ. ი. ლენინმა.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ახლა გვაქვს ხელსაყრელი ვითარება მწერალთა მთელი ძალების ფართო კონსოლიდაციისათვის, განაგრძობს ორატორი. ეს კომუნიზმის საკეთილდღეოდ წარმატებითი შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

პასუხსაგებია ხელოვნების წინაშე მდგომი ამოცანა — სიმართლით და მკაფიოდ ასახოს საბჭოთა ხალხის ცხოვრება. კომუნიზმის მშენებლობის თემების გამოყენება უკარნახებს მწერლებს მათს მთავარ მოვალეობას — იყონ ხალხის დიად საქმეთა მემატიანენი, კომუნიზმის იდეების აქტიური პროპაგანდისტები. თანამედროვეობის მოთხოვნა ახლა გაისმის როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, მხატვრული, ესთეტიკური მოთხოვნა. თანამედროვეობის სწორად გაგებულ მოთხოვნას საბჭოთა ლიტერატურა აჰყავს ახალ იდეურ და მხატვრულ მწვერვალებამდე. ეს მოთხოვნა ითვალისწინებს თანამედროვეობის გმირული მასალის ნამდვილად მხატვრულ განსახიერებას. მუდმივი, განუყოფელი კავშირი ხალხთან იყო და არის ჩვენი ლიტერატურის მთავარი თავისებურება.

ხალხის ცხოვრების ფართო, მრავალფეროვანი სურათი რომ შევქმნათ, საჭიროა რომანის ან მოთხრობის ფორმა, სცენიური ნაწარმოების, ეპიკური ან ლირიკულ-ეპიკური პოემის დიდი ფორმა. უეჭველია, ასეთი ნაწარმოებები შეიქმნება, და საჭიროა, რომ ისინი შეიქმნას რაც შეიძლება მალე.

ილაპარაკა რა შემდეგ იმაზე, რომ მწერალი უფრო სწრაფად და წარმატებით უნდა გამოეხმაუროს თანამედროვე თემებს, ა. სურკოვმა აღნიშნა, რომ ლიტერატურაში არსებობს ჟანრები, რომლებიც თავიანთი ბუნებით განკუთვნილია ხალხის ცხოვრების დღევანდელი დღის ასახვისათვის. ასეთ ჟანრს მიეკუთვნება მოთხრობა. სწრაფად რომ გამოვეხმაუროთ დღევანდელი დღის თემას, ამისათვის ნაკლებ გამოსაყენებელი რომია მხატვრული ნარკვევი და სამწერლო პუბლიცისტიკა.

შემდეგ ამხ. სურკოვი ამბობს, რომ მწერლები უნდა იბრძოდნენ ლიტერატურული ოსტატობის მაღალი დონისათვის. ცხოვრებაში ახლის ასაპა მოითხოვს აგრეთვე ნოვატორობას ფორმის დარგში.

შეეხო რა მწერალთა მუშაობას ლიტერატურის მომიჯნავე ხელოვნების დარგებში — თეატრში, კინემატოგრაფიაში, რადიოსა და ტელევიზიაში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა ახალი პიესების რიცხვი. დრამატურგია უფრო მტკიცედ მიმართავს ადამიანს, ხასიათების განვითარების პრობლემებს. ამასთანავე, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი თემები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ღრმად განსახიერებული ბევრ პიესაში.

ილაპარაკა რა საბჭოთა კინემატოგრაფიაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვან და მხატვრულად თავისებურ ფილმებთან ერთად, ჩვენს ეკრანებზე ვამოდის ბევრი უფერული, არაფრისმთქმელი სურათი. მაყურებელი კი ძოელის, რომ ეკრანიდან მიიღებს პასუხს თავის დღევანდელ ფიქრებსა და გრძნობებზე. მწერლები დღემდე სუსტად ეხმარებიან კინემატოგრაფიას მხატვრულად მაფიო სცენარების შექმნაში. „სცენარის საკითხი“ კვლავ რჩება კინოხელოვნების ყველაზე მწვავე საკითხად. კინემატოგრაფიის მუშაკთა შემოქმედებითი კავშირის შექმნა, ამბობს იგი, ხელს შეუწყობს მწერალთა აქტივობის გაძლიერებას კინოში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის ზოგიერთ საკითხს. საბავშვო ლიტერატურის განვითარების საკითხები, ამბობს ა. სურკოვი, მუდამ იყო ჩვენი პარტიის, ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში, მაგრამ შესაძლებელია, ჯერ არასოდეს არ დასმულა ეს საკითხები ასე მწვავედ, როგორც ახლა, კომუნისტურ პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შემდეგ, სკოლის გარდაქმნის კანონის მიღების შემდეგ. საბავშვო წიგნს შესაძლოა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ყოველ სხვა წიგნს, ესჭიროება ის, რომ იქ ახლა შევიდეს ჩვენი დღეების, ჩვენი დროის სისხლსავსე გმირი — შვიდწლედის გმირი, ახალშენებათა გმირი, ყამირი მიწების გმირი.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი მთარგმნელობითი მუშაობის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში.

შეეხო რა საბჭოთა ლიტერატურის ემოქმედებითს ამოცანებს მომავალ წლებში, ა. სურკოვმა იდაპარაკა კრიტიკის, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხაზგასმით აღნიშნავ იგი, მუდამ უნდა იყოს ჩვენი ყურადღების ცენტრში. სოციალისტური რეალიზმი როგორც მთელი შემოქმედებითი პრაქტიკის განზოგადება — აი ის საბრძოლო დროშა, რომლითაც ჩვენ მივდივარ ახალი იდეურ-მხატვრულ მწვერვალებისაკენ.

მომხსენებელი ლაპარაკობს მწერალთ რიგების შევსებაზე ახალი ნიჭიერი ძალებით. იგი აღნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყრილობიდან ყრილობამდე ლიტერატურაში მოვიდა ბევრი ახალიადამიანი. მეორე ყრილობისათვის კავშირის რიგებში იყო 3.695 ლიტერატორი. 1959 წლის 1 თებერვლისათვის კავშირის წევრთა რიცხვი გადიდდა 4.801-მდე. ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან მუშაობაში მწერალთა კავშირი მუდამ თანამშრომლობდა კომკავშირთან. კომკავშირთან ერთად ჩვენ კვლავაც უნდა ვეძებდეთ და ვზრდიდეთ ნიჭიერ ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

ა. სურკოვი აღნიშნავს, რომ ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სხვა სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურებმა. მოძმე სოციალისტური ქვეყნების მწერლები, ისევე როგორც ჩვენ, ეძებენ უმოკლეს გზებს თანამედროვე თემის დასაუფლებლად, ზრუნავენ იმისათვის, რომ ლიტერატურის კავშირი ცხოვრებასთან, ხალხთა ბრძოლასთან სოციალიზმისათვის მტკიცე და მჭიდრო იყოს.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სამოც და მეტ ენაზე თარგმნილი გამოვიდა სოციალისტური ქვეყნების მწერლების 1.768 წიგნი საერთო ტირაჟით, რომელიც 170 მილიონ ცალს აღემატება. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებშიც მატულობს მოწინავე მწერალთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ შემოქმედებითს პრაქტიკაში პროგრესულ პოზიციებზე გადადიან.

ისევე როგორც წინა წლებში, ამბობს მომხსენებელი, ჩვენ ვინარჩუნებდით მეგობრულ კონტაქტებს კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ მწერლებთან, ვცდილობდით ყოველი ღონისძიებით გაგვეფართოებინა ეს კონტაქტები. ჩვენმა გამომცემლობებმა უკანასკნელ წლებში გამოსცეს ბევრი თარგმნილი ნაწარმოები. თეატრებმა დადგეს თანამედროვე უცხოელ დრამატურგთა მთელი რიგი პიესები. გაფართოვდა აგრეთვე ცოცხალი ურთიერთობა მსოფლიოს მწერლებთან. საბჭოთა ლიტერატორები კვლავაც გაბედულად და მტკიცედ გააფართოებენ ამგვარ კონტაქტებს.

თავისი ზრდის მთელ გზაზე, განაცხადა შემდეგ მომხსენებელმა, ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ძლიერი იყო ურყევი პარტიულობით, მშობლიური ხალხის ნდობითა და სიყვარულით.

აქ, მწერალთა მესამე ყრილობაზე, დარბაზში, სადაც ამას წინათ პარტიის საუკეთესო შვილებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის საბრძოლო პროგრამას, ჩვენ ფიცს ვდებთ ჩვენი ხალხის წინაშე მუდამ ერთგული ვიყოთ დიადი საქმისა, რომელიც ახალ-ახალი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებს შთაგონებულ შემოქმედებითს შრომაში.

საბჭოთა მწერლებმა პარტიასა და ხალხთან ერთად უშინაშვნოდ მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის მიერ ფრაქციონერების მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის საზიზღარი ანტიპარტიული ჯგუფის მხილება და განადგურება, რომლებიც გამოდიოდნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, პარტიის ლენინური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ხალხის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

საბჭოთა მწერლების მთელი მრავალეროვანი კოლექტივის სახელით ა. სურკოვი მხურვალე მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიას დიდი ნდობისათვის, რომელსაც იგი მუდამ უწევს მწერლებს, მიაჩნია რა ისინი თავის თანამეგზაურად ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა სახით, რომლებიც ჩვენს პირველ სხდომას ესწრებიან, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგეიძე ხრუშჩოვის სახით, ვისი ძლიერი მეგობრული მხარდაჭერა და რჩევა ჩვენთვის ესოდენ გასაგები და ძვირფასია, ჩვენ სიტყვას ვაძლევთ პარტიას, რომ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის მწერლები მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ გამოცდილებას, მთელ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობას.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

18 მაისს სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის საღამოს სხდომამ, რომელიც მაქსიმ რილსკის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ი. ლიბედინსკის მოხსენება.

შემდეგ დაიწყო კამათი.

მწერალმა ო. გონჩარმა აღნიშნა, რომ ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი უკრაინის მწერლებისათვის იყო დაძაბული შემოქმედებითი შრომის პერიოდი. ამ ხნის მანძილზე უკრაინაში გამოიცა ათას ხუთასი წიგნი. ამხ. გონჩარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება მოძმე ლიტერატურების განვითარებისადმი.

ჩვენს გარშემო, ყველგან მომავლის შესანიშნავი ყლორტებია, — ამბობს პ. ბროვკა. — ეს არის კომუნისტური შრომის ბრიგადები, კულტურის სახალხო უნივერსიტეტები, სახალხო თეატრები. ჩვენი მოვალეობაა ავსახოთ ხალხის შთაგონებული ცხოვრება, მისი შემოქმედებითი შრომა. ორატორმა მოუწოდა უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მწერლებს შორის.

ჩინელ ლიტერატორთა სახელით მხურვალე სალამი გადასცა ყრილობას ცნობილმა ჩინელმა მწერალმა მაო დუნმა. მან განაცხადა, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებები გამოცემულია ჩინეთში თითქმის 82 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. მაო დუნმა ყრილობას გადასცა ჩინელ მეგობართა საჩუქრები — სურათი, აგრეთვე საბჭოთა მწერლების წიგნები, თარგმნილი ჩინურ ენაზე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე თ. პანფეროვი, მ. იბრაგიმოვი, ს. მიხალკოვი.

19 მაისს კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. სობოლევი.

ი. აბაშიძემ (საქართველო), რომელიც პირველი გამოვიდა, აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურაში დიდი ძვრები მოხდა. ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში წამყვანი ადგილი დაიკავა თანამედროვეობის თემამ. იმედი გვაქვს, თქვა მან, რომ ჩვენი მესამე ყრილობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პერსპექტიული ყრილობა მომავლისადმი მისი მისწრაფებით, დაგვეხმარება გადავჭრათ დიდი შემოქმედებითი ამოცანები, რომლებიც დასახულია ყველა საბჭოთა ლიტერატორის წინაშე ამჟამად. ამხ. აბაშიძემ ილაპარაკა აგრეთვე საბჭოთა მკითხველის უდიდეს სულიერ ზრდაზე უკანასკნელ წლებში, იმაზე, რომ ეს ზრდა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მწერლებს მათ მიერ ისეთ ნაწარმოებთა შექმნის საქმეში, რომლებიც შეეფერებიან მკითხველსა და ჩვენს გმირულ დროს.

ა. სალინსკიმ (მოსკოვი) თავისი სიტყვა მიუძღვნა დრამატურგიას. ჩვენი მწერლების საუკეთესო დრამატული ნაწარმოებნი, — აღნიშნა მან, — არიან რევოლუციური მგზნებარების, დიდი აზრის ნაწარმოებნი. ისინი მოგვიწოდებენ ვიაროთ წინ, გვიჩვენებენ ამ წინსვლის გზებს. ორატორმა თქვა, რომ საბჭოთა დრამატურგების ბევრ პიესას ჯერ კიდევ აკლია ეს შესანიშნავი ნიშნები. ხშირად, — შენიშნა ა. სალინსკიმ, — ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ უარყოფით პერსონაჟს, გვეშინია გავადიდოთ დადებითი სახე, თანამედროვეობის გმირის სახე.

შემდეგ გამოვიდა კ. იაშენი (უზბეკეთი). 25 წლის წინათ, — თქვა მან, — უზბეკეთის ლიტერატურა დგამდა მხოლოდ რომანებისა და სხვა დიდ ნაწარმოებთა შექმნის პირველ ნაბიჯებს. მას შემდეგ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ რესპუბლიკის მწერლებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში. შემდეგ ამხ. იაშენმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია უზბეკური ლიტერატურის წინაშე გრანდიოზული გეგმების მიხედვით, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

ა. პროკოფიევის (ლენინგრადი) გამოსვლის შემდეგ ყრილობის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ პოლონელი მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელს ი. ივაშკევიჩს, რომელიც ყრილობას მიესალმა. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერეს ავსტრიის სამრეწველო გამოფენა

ერთი კვირაა, რაც მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, მუშაობს ავსტრიის სამრეწველო გამოფენა. მან დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში. განვლილ დღეებში გამოფენა დათვალიერა 250 ათასზე მეტმა კაცმა.

18 მაისს ავსტრიის სამრეწველო გამოფენა დათვალიერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა. ცენტრალური პავილიონის შესასვლელთან მათ შეხვდნენ ავსტრიის ვაჭრობისა და აღდგენის მინისტრი ფრიც ბოკი, ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში ნორბერტ ბიშოფი. აქ იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ე. მაკსარიოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მუშაკები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიქოიანმა დათვალიერეს ავსტრიის 240 ფირმის მიერ წარმოდგენილი ექსპონატები. სტუმრები შეჩერდნენ დუნაის სანაოსნოსადმი, ხარისხული ფოლადებისადმი, კაპრუს ჰესისადმი მიძღვნილ სტენდებთან, მათ აინტერესებდათ ჩარხები, მანქანები, ავსტრიის საფეიქრო მრეწველობის საქონელი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოდ არის განკუთვნილი. ახსნა-განმარტებას აძლევდა ავსტრიის ფედერალური სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი ფრიც მაიქსი. ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი ესაუბრნენ ფირმების წარმომადგენლებს.

— ჩვენ ვუიდულობთ ავსტრიის საქონელს, რამდენადაც ვიცით, რომ მისი ხარისხი არ არის ცუდი, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ღია ბაქანზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიქოიანმა ყურადღება მიაქციეს კომპრესორებს, ბენზინის სვეტებს, ჰიდრავლიკურ ძრავებს, რომლებსაც ავსტრია საბჭოთა კავშირს აწვდის.

უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

— ჩვენ უკვე გავაცანით ჩვენი აზრი ბატონ მინისტრს, გამოფენის ორგანიზატორებსა და ფირმების წარმომადგენლებს. ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გამოფენის საქონელმა და ექსპონატებმა. წინადადებას მივცემთ ჩვენს სპეციალისტებს ჯეროვნად შეისწავლონ, რა საქონელი შეიძლება წარმოადგენდეს ინტერესს საბჭოთა კავშირისათვის, რათა შეეფანხმდეთ ავსტრიაში შეკვეთების გადაცემაზე. ჩვენი სურვილია მადლობა ვუთხრათ ფირმების მუშებს, ინჟინრებს, მოსამსახურეებსა და ხელმძღვანელებს, რომლებმაც შექმნეს კარგი ნაკეთობანი და გამოგზავნეს მოსკოვში გამოფენაზე. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი საქმიანი ურთიერთობის გაფართოებას ავსტრიასთან და ამით მშვიდობის განმტკიცებასაც.

გთხოვთ გადასცეთ ავსტრიელ ხალხს ჩვენი საუკეთესო სურვილები. (საკ‌ეს‌ი).

მოსკოვში ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი

18 მაისს საბჭოთა დედაქალაქი დიდი გულთბილობითა და გულითადობით შეხვდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მის უმაღლესობას სარდარ მუჰამედ დაუდს, რომელიც ჩამოვიდა სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის მინისტრები ე. ფ. კოჟუვნიკოვი, რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ს. ა. სკაჩკოვი და ა. ნ. შელეპინი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყვნენ ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქიმ შაჰალამი, ავღანეთის მთავრობის დელეგაციის წევრები— სსრ კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკების მონაწილენი, უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები.

შემხვედრნი გულითადად მიესალმნენ მეგობარი ავღანეთის მთავრობის მეთაურს, როცა იგი თვითმფრინავიდან ჩამოვიდა.

აეროდრომზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

გარდამავალი წითელი დროშები გურჯაანელებს

გურჯაანი. (საკ. კორ.). — სამოცდაათი ცენტნერი ყურძენი ჰექტარი ვენახიდან — ასეთი იყო გურჯაანელთა შარშანდელი გალდებულება. მევენახეები ფაქტიურად 71 ცენტნერსაც არ დასჯერდნენ. ბევრი იყო ისეთი ბრიგადა და რგოლი, რომელმაც ჰექტარზე ასი-ას ორმოცდაათი ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა შესრულებულ იქნა 129,8 პროცენტით.

გურჯაანელ მევენახეთა შრომა სათანადოდ დაფასდა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მათ საქართველოში პირველი ადგილის დაკავებისათვის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნეს.

შარშან არც რაიონის მეცხოველეებს უმუშავნიათ ცუდად — რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში პირველი ადგილი დაისაკუთრეს. 1957 წელთან შედარებით აწარმოეს 21.6 პროცენტით მეტი რძე, 96,7 პროცენტით მეტი კვერცხი, 8,6 პროცენტით მეტი ხორცი.

ამ წარმატებებისათვის გურჯაანელებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნათ.

რაიონის კულტურის სახლში სოფლის მეურნეობის მუშაკები შეიკრიბნენ. დღის წესრიგში იდგა „გასული წლის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები". მოხსენებით გამოვიდა გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. შავგულიძე.

მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. შ. ჭანუყვაძეს. მან ერცლად ილაპარაკა გურჯაანელთა წარმატებებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა განახორციელონ რაიონის მშრომელებმა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამხ. ჭანუყვაძემ გარდამავალი წითელი დროშები გადასცა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ა. დავითაშვილს, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, რომ რაიონის მშრომელებმა კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ წარმატებათა გასამრავლებლად.

ტრიბუნაზეა სოფელ შრომის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი მიხეილ მარჩილაშვილი, რომელმაც იკისრა თვითეული ჰექტარი ვენახიდან 180 ცენტნერი ყურძნის მიღება.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ქალაქის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. მაყაშვილმა, სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორმა დ. როსტომაშვილმა, ბაკურიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ნიბლაძემ, არაშენდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ყამბარაშვილმა და სხვებმა.

ს. ჟოჩლაძე.

დღეში—8 შრომადღე

გეგეჭკორი. („კომუნისტის" კორ.). ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე არ წყდება მუშაობა. კოლმეურნეები ჩაის ფაბრიკებში გადასამუშავებლად ყოველდღიურად დიდი რაოდენობით გზავნიან ჩაის მაღალხარისხოვან ნედლეულს. მარტო გუშინ ფაბრიკამ გადასამუშავებლად მიიღო 96 ათასი კილოგრამი ჩაი. სეზონის დაწყებიდან სულ რაიონში მოკრეფილია 696.781 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ფოთოლი — ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის.

სეზონის დაწყებიდან რაიონში სახელი გაითქვა გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ძაბა წულაიამ. მისი ყოველდღიური ნამუშევრით ამაყობს კოლმეურნეობა. გუშინ მოწინავე მეჩაიემ ამ წულაიამ მოკრიფა 144 კილოგრამ ჩაის ნედლეული და ამით ერთ დღეს ამოიმუშავა 8 შრომადღეზე მეტი. ძ. წულაიამ რაიონში პირველმა შეასრულა ფოთლის კრეფის მაისის გეგმა. 1 მაისისათვის მოკრიფა 900 კილოგრამი ჩაი.

შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ნაჯიხოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვენერა კუპრავა. იგი ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას სამმაგად ანაღდებს. ასევე სახელოდ მუშაობენ დიდი ჭყონის კოლმეურნეობაში შ. რუხაია, ვ. ჯაფარიძე, დაბა გეგეჭკორის კოლმეურნეობაში შ. ხაჟომია, თ. ლაგვილავა.

რაიონში ყოველდღიურად ტიერდება ფოთლის კრეფის ტემპი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, რომლებიც მდებარეობენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა. ჩამოთვლილი ორგანიზაციების მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში საველდებულოა და მისი ანაზღაურება არ ხდება.

2. კოლმეურნეობები ყოველ წელს იღებენ მონაწილეობას ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობის ყოველ შრომისუნარიან წევრზე გამომუშავების ორიდან ოთხამდე დღიური ნორმის, აგრეთვე კოლმეურნეობების კუთვნილ ყოველ სატვირთო ავტომობილზე, ტრაქტორზე, სამშენებლო და საგზაო მექანიზმზე და ცოცხალი გამწევი ძალის ყოველ ერთეულზე ოთხი დღიური ნორმის მოცულობით.

გამომუშავების დღიური ნორმების კონკრეტულ რაოდენობას აწესებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის მიხედვით.

3. საბჭოთა მეურნეობები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი, სარემონტო-ტექნიკური სადგურები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საგზაო ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში გამონუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მათ კუთვნილ ყოველ სატვირთო ავტომობილზე, ტრაქტორზე, სამშენებლო და საგზაო მექანიზმზე.

4. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ საბჭოთა მეურნეობები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, სარემონტო-ტექნიკური სადგურები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათი კუთვნილი საუწყებო გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ, გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი შუამდგომლობით, შეუცვალონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა ფულადი შესატანით შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

6. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ იმ მოცულობით და წესით, რომლებსაც ადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

7. საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ყველა მექანიზმს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებასა და გამწევ ძალას მძღოლებთან, მომსახურე პერსონალთან და დასატვირთავ-გადმოსატვირთავი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელთან ერთად გამოიყოფენ სამეურნეო ორგანიზაციები და უზრუნველყოფენ საწვავით, საცხებითა და სხვა მასალებით საკუთარი ფონდებიდან და თავიანთ ხარჯზე.

8. დაწესდეს, რომ საგზაო სამუშაოებში, სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობის ძირითადი ფორმებია:

ა) კოლმეურნეობებში — მუდმივი საგზაო ბრიგადები;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში — მუდმივი მექანიზებული რაზმები ან ბრიგადები საგზაო სამუშაოთა მათთვის დაწესებული მოცულობისა და იმ მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

9. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წლიურ გეგმებს ადგენენ თვითეულ რაიონში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ამტკიცებენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, არა უგვიანეს 2 თვისა წლის დაწყებამდე, ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციას იცნობება წლიური დავალება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ადგილს, მოცულობასა და ვადებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ეს დავალებანი შეაქვთ თავიანთ წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

10. ადგილობრივ საავტომობილო გზებზე იმ სამუშაოთა ტექნიკური მეთვალყურეობა, კონტროლი და მიღება, რომლებიც სრულდება ამ ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით.

11. მოწყობილობის, საშენი მასალების, იარაღებისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშახელის ხელფასისა და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოთა ორგანიზაციისათვის, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მონაწილეობით, შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოიყოფა ფულადი სახსრები აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ ცოტა 20 პროცენტის რაოდენობით.

12. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით უდავო წესით გადახდებათ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო მათს ხელმძღვანელებს დაეკისრებათ ჯარიმა 300-დან 500 მანეთამდე.

ამ თანხების გადახდა მათ არ ათავისუფლებს დაწესებული მოცულობის საგზაო სამუშაოთა შესრულებისაგან.

13. ფულადი თანხები, გადახდეკინებული საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის, აგრეთვე თანხები, რომლებსაც სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის ნაცვლად (მუხლი 5), ჩაირიცხება ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტზე იმ ფულად ასიგნობათა დამატებით, რომლებიც საგზაო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტით. წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ინარჩუნებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას შემდეგ წელს.

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 26 მარტის დადგენილება „გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობისა და რემონტის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესის შესახებ" (დადგ. კრებ. № 4, მუხ. 20).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1959 წ. 16 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22 და 23 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიცვალოს სასჯელების ზომები განზრახ მკვლელობისათვის და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„144. განზრახ მკვლელობა, უკეთუ იგი ჩადენილია:

ა) ანგარებით, შურისძიებით, ეჭვიანობით (თუ ეს უკანასკნელი არ უდგება 146 მუხლის ნიშნებს), ხულიგნური და სხვა ქვენა გრძნობით;

ბ) სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად ან დასაფარავად;

გ) მრავალ ადამიანთა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების საშუალებით;

დ) დაზარალებულისათვის განსაკუთრებით სატანჯველი საშუალებით;

ე) ჩასაფრებით, ან დაზარალებულის განმარტოებულ ადგილას გატყუებით;

ვ) იმ პირის მიერ, ვისაც ვალად ედო განსაკუთრებული ზრუნვა დაზარალებულისათვის;

ზ) დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

თ) დამნაშავის წინასწარი შეცნობით ორსულობის მდგომარეობაში მყოფი ქალისა;

ი) იმ პირის მიერ, ვისაც უკვე მოუხდია სასჯელის ღონისძიება განზრახ მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, — გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით დასჯას.

145. განზრახ მკვლელობა, უკეთუ იგი არ შეიცავს ამა კოდექსის 144 მუხლით გათვალისწინებულ ნიშნებს, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან ათ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1959 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქალაქების ფვიდფლედი

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე გაზეთი „იისკრა“ იუწყებოდა:

„ჭიათურის შავი ქვის ხაწარმოებში... მრეწველთა უმეტესობას მუშებისათვის ნახლები სულ არა აქვს. ის, რაც არის, ნაჩქარევად გაშენებული ხის ბარაკებია, ნოტიო, ბნელი და ტალახიანი ხვრელებით“...

და განა მარტო „იისკრა“! ჭიათურელ მაღაროელთა ბედუკუღმართ, დუსჭირ და აუტანელ ცხოვრებაზე ხშირად წერდნენ „ივერია“, „ქვალი“, „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“.

მაგრამ უველაფერი ეს ახლა წარსულის მწარე მოგონებაა. საბჭოთა პირობებში ჭიათურა გამოიცვალა, ინდუსტრიული ქალაქი გახდა. იქ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა დამკვიდრდა.

საბჭოთა ადამიანებმა საკუთარი ხელით გაიყვანეს ელექტროფიცირებული ფართოლიანდაგიანი რკინიგზა ზესტაფონიდან ჭიათურამდე. ახლა ებრძოლნენ ხალ კლდეებს, გიჟმაუ ყვირილას, აგებდნენ ურთულეს ნაგებობებს. ახლა მარგანეცით დატვირთულ მძიმეწონიან ეშელონებს ეზიდებიან ძლავრი ელმავლები, და ეს გაკეთდა უკანასკნელ ხამ წელიწადში, მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ.

მარგანეცის ქალაქი

ყვირილას ხეობა განთქმულია ცათმბჯენი კლდეებით. ამ უზარმაზარ მთებს უტოლდება ცენტრალური გამაუხვეველი ფაბრიკის მეორე რიგი, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი ხიტყვით არის აგებული. იგი ააშენეს და დაამონტაჟეს ჭიათურელმა მუშებმა და ინჟინრებმა. ეს ფაბრიკა ყველაზე რთული და ძლავრია ჭიათურაში. მას მადანს აწვდის მაღარო „ახალი ითხვისი“. მისი მთავარი საზიდი დაბეტონებულია და ამიტომ ეძახიან „მეტროს“. აქ უახლესი მექანიზმები მუშაობენ, ორლიანდაგიან რკინიგზაზე დასრიალებენ ელმავლები. ფაბრიკა და მაღარო „ახალი ითხვისი“ მეორე წელია მუშაობენ ჩვენი ხალხის ხაკეთილდღეოდ. აქვე გაშენდა მუშათა დასახლებული უბანი, რომლის ნაგებობანი ბევრი რაიონის ცენტრს დაამშვენებდა.

მაღარო „ახალი ითხვისი“ ხაპაეროხაბაგირო გზით ვ. ი. ლენინის ხახელობის მაღაროს უკავშირდება. აქ ხომ მთელი ქალაქია გაშენებული მისთვის დამახასიათებელი ყველა კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო დაწესებულებით. აშენდა ათობით მრავალხართუნლიანი ხაცხოვრებელი ხახლები, მუშათა კლუბი, ფეხბურთის სტადიონი. ყველაფერი ეს გაკეთდა უკანასკნელ ხამ წელიწადში.

არაერთი ხაცხოვრებელი ხახლი აიგო თვით ქალაქის ცენტრში. განსაკუთრებით იზრდება ქალაქის დასავლეთი ნაწილი ნაგუთი. აქ უკანასკნელ ორ წელს ოცამდე ხამ-ოთხხართუნლიანი კაპიტალური შენობა წამოიწია. ბევრი ხარაჩოებზია და ბევრის ბალავერი იჭრება. მალე ნაგუთი ქალაქის ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი უბანი იქნება.

მაგრამ ჭიათურისათვის, მის კეთილმოწყობა-გალამაზებისათვის უფრო მნიშვნელოვანი და წარმტაცი იქნება ახალი შვიდწლედი. ხაკმარისია ითქვას, რომ შვიდწლედში მარგანეცის ქალაქის მშენებლობებზე დაიხარჯება მილიარდ მანეთამდე, ე. ი. იმდენი, რაც დახარჯულია მარგანეცის მრეწველობის დაწყებიდან დღემდე! აქ აშენდება 180 ათასი კვადრატული მეტრი ხაცხოვრებელი ხახლები, ბევრი ხაყოფაცხოვრებო-კულტურული ნაგებობა. ხარაჩოებშია და წელს უნდა დამთავრდეს კულტურის ხახახლის ხაუცხოო ნაგებობის მშენებლობა. მის ეზოში იდგმება ვ. ი. ლენინის შეხანიშნავი მონუმენტი, ხახახლის ირგვლივ გაშენდება მარადმწვანე ბაღი, რომელიც მშრომელთა დასვენების ხაყვარელი ადგილი იქნება.

ქალაქის ხამხრეთ უბანში წელხვე უნდა დამთავრდეს პიონერთა ხახახლის მონუმენტური შენობა. მის ირგვლივ ექვს მეტრიანზე დაწყებულია მიმზიდველი ტყე-პარკის გაშენება. დაწყებულია და წელს დამთავრდება კეთილმოწყობილი სტადიონის მშენებლობა.

შენდება ახალი ფაბრიკები და მაღაროები დარკვეთში, მღვიმეში. ახლინი მალე ჩადგებიან მწყობრში. 1960 წელს უნდა დამთავრდეს ხაფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობა. იგი ახეულ ათან ტონობით მარგანეცის დანაკარგს დაიტვერს, ხოლო მდინარე ყვირილა კვლავ ხუფთად, ანკარად იდენს...

დიახ, მარგანეცის ქალაქი ის ალარ არის, რაც წინათ იყო; და მალე ეხ ალარ იქნება, რაც ახლა არის. იგი უფრო კეთილმოწყობილი, ლამაზი და მამაზიდველი გახდება.

ბ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

• • •

ხურათზე: ჭიათურა. მაღაროო „ახალი ითხვისის“ საერთო ხედი.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა.



ცეცხლთან ორთაგრძოლაში

არა ერთი ხახლი, ფაბრიკა, ქარხანა, არაერთი ბავშვისა და მოზარდის სიცოცხლე დაუცავთ და გადაურჩენათ თბილისის პირველი დამოუკიდებელი ხახანძრო რაზმის მებრძოლებს. არაერთხელ გამოსულა ცეცხლთან ბრძოლაში გამარჯვებული ამ რაზმის ყარაულის უფროსი, ტექნიკოს - ლეიტენანტი მიხეილ ვასილის-ძე კავთიაშვილი.

მიხეილ კავთიაშვილს მრავალ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა და მეტ წილ შემთხვევაში გაუმარჯვია. ამ რამდენიმე წლის წინათ შუადამისას რაზმში განგაში გამოცხადდა. წამსვე მთელი რაზმი, როგორც ერთი კაცი, სავსებით მზად იყო. რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ხაბავშვო უნივერმაღ ს ელექტროქურით ცეცხლი გასჩენოდა, იგი უკვე მოსდებოდა ვიტრინებს. მიხეილ კავთიაშვილი საფრთხეს არ შეუშინდა, თავისი რაზმის მებრძოლებთან ერთად ჩაკერა ხანძარი და განადგურებას გადაარჩინა რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი.

ხანძრის შესახებ ქართველ ხალხს ხატოვნად უთქვამს: ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ გორას გადაწვავსო. მიხეილ კავთიაშვილის რაზმელებს რომ არ გამოეჩინათ გამბედაობა და მამაცობა, საბურთალოში ავეჯის ფაბრიკის ირგვლივ მდებარე საცხოვრებელი სახლები დღეს ნაკარტუტად იქნებოდა ქცეული.

რამდენიმე ხნის წინათ თბილისის გარეუბანში ცეცხლის ენები ავარდნენ. იწვოდა ერთ-ერთი ნაგებობა. რაზმის წინაშე მეტად სერიოზული დავალება იყო — რადაც უნდა დასჯდომოდა ჩაეკრო ხანძარი. მიხეილი მებრძოლებთან ერთად ვეფხვივით ეკვეთა გამძვინვარებულ ცეცხლს. დავალება პირნათლად იქნა შესრულებული.

ამ ოპერაციის დროს გამბედაობისა და თავდადების გამოჩენისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 მაისის ბრძანებულებით მეედლთ „ხანძარზე მამაცობისათვის“ სხვა მებრძოლებთან ერთად მიხეილ კავთიაშვილიც არის დაჯილდოებული.

ძარხნის პენსიონერთა საბჭო

რუსთავი. (ხაკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით რესპუბლიკაში პირველად ქალაქ რუსთავში შეიქმნა ქარხნის პენსიონერთა საბჭო. პენსიონერთა სიებში ბევრია კარგი სპეციალისტი, რომელებსაც მეტალურგიულ ქარხნებსა და სხვა საწარმოებში მუშაობის 40 და მეტი წლის სტაჟი აქვთ. საბჭოს შექმნიდან მოკლე დროის განმავლობაში მრავალი საშუშაო შესრულდა. პენსიონერები ხშირად მიდიან ხამეურობაში ახალგაზრდა მუშებთან, ესაუბრებიან მათ თავიანთ გამოცდილებაზე.

პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის თხოვნით პენსიონერებმა შეისწავლეს ქარხნის პოლიკლინიკის მუშაობა, ხოლო შემდეგ ეს საკითხი განსახილველად დააყენეს საქარხნო კომიტეტის სხდომაზე. პენსიონერთა ინიციატივით შესწავლილ იქნა აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის და სხვა საკითხები.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 18 მაისი. (საკ. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით, პირველმა გააკეთა განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა.

ლ. ბოლცის გამოსვლა

აღნიშნა რა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ ყურადღებით შეისწავლა დასავლეთის სამი სახელმწიფოს გეგმა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ წარმოადგინა, ლ. ბოლცმა განაცხადა:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთგზის განუცხადებია, რომ გერმანელ ხალხს საერთაშორისო-უფლებრივი მხრივ უდავოდ აქვს საზავო ხელშეკრულების დადების უფლება. გერმანელი ხალხი მტკიცედ მოითხოვს მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება, რათა, ბოლოს, მოგვარდეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილი მდგომარეობა, შეიქმნას მტკიცე მშვიდობის საიმედო საფუძველი, შესაძლებელი გახდეს მისი თვითგამორკვევის უფლების განხორციელება სრულიად შეუზღუდავად და მიღწეულ იქნას მისი ურთიერთობის ნორმალიზაცია ყველა ხალხთან.

საზავო ხელშეკრულებამ მთელ გერმანელ ხალხს უნდა მისცეს მშვიდობა და თავისუფლება, იგი შეიფერება ამ მოცანას, თუ ხელს შეუშლის გერმანელ მილიტარისტებს კვლავ ჩაითრიოს გერმანელი ხალხი ომში და დღეს, მსოფლიო მოსსპობის იარაღის საუკუნეში, საფრთხე შეუქმნას გერმანელი ერის ფიზიკურ არსებობას. ასეთი საზავო ხელშეკრულების დადება მით უფრო საჭიროა, რომ შეიარაღების, რაკეტული და ატომური იარაღით ომის აღძვრის პოლიტიკა, რასაც დასავლეთ გერმანიის მთავრობა ახორციელებს, იწვევს გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერებას და მეტისმეტად ადიდებს ატომური ომის საფრთხეს. საზავო ხელშეკრულებამ უნდა შეაჩეროს ეს საბედისწერო განვითარება. გარდა ამისა, მან უნდა გადაჭრას მთელი რიგი ისეთი გადაუდებელი საკითხები, როგორიც არის გერმანიიდან უცხოთეთის მთელი ჯარების გაყვანა, დასავლეთ გერმანიის გამოსვლა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტიდან, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან, და გერმანიის ტერიტორიაზე უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია.

გერმანელი ხალხისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, განაგრძო ბოლცმა, ის ფაქტი, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება იქნებოდა მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის უმოკლესი გზა.

ილაპარაკა რა შემდეგ გერმანიის გაერთიანების გზებზე, ლ. ბოლცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიაში განვითარება წავიდა ორი გზით, პირნეიპულად სხვადასხვა გზით: მილიტარისტული გზით დასავლეთ გერმანიაში და ანტიმილიტარისტული გზით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რომ ეს შეუძლებელს ხდის გერმანიის მექანიკურ გაერთიანებას. ფაქტების ლოგიკა გვაიძულებს გავაკეთოთ თავისთავად ნაგულისხმევი დასკვნა, რომ სრულიად გერმანიის საკითხების მოწესრიგება შეუძლებელია, თუ არ მოხდა ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება. ამასთან დაკავშირებით

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ლ. ბოლცმა, თათბირზე იმყოფება, რათა განაცხადოს გერმანელი ხალხის განუყრელი უფლება დადოს საზავო ხელშეკრულება, და კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზავო კონფერენციის ესწრაფესი მოწვევა მას მიაჩნია გადამწყვეტ ნაბიჯად ევროპის ცენტრში მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევის გზაზე.

* * *

ჰერტერმა, რომელიც ლ. ბოლცის შემდეგ გამოვიდა, გააკეთა რამდენიმე ზოგადი შენიშვნა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა წინადადების გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების ხახელმწიფო მდივანი აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიასთან სამართლიან და ხანგრძლივ მოწესრიგებას. იგი ამტკიცებდა, რომ ომის დამთავრების მომენტიდან ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ გერმანიასთან საზავო მოწესრიგება ყოფილიყო სწორედ ისეთი, რომელიც შეეხაბამება თვის ხახელწოდებას, ესე იგი ხავედრეყნოდ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შედეგად ისეთი ურთიერთობის შექმნას თვისუფალ და გაერთიანებულ გერმანიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის, რომლის შედეგადაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ანალიზს უკეთებდა რა საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტს, კ. ჰერტერი დაეთანხმა უგულებელყოფდა ამ რეალურ ფაქტს, რომ ამჟამად არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო და რომ გერმანიის გაერთიანების ამოცანა თვით გერმანელი ხალხის საქმეა. კ. ჰერტერი ამტკიცებდა, რომ იურიდიული თვალსაზრისით საზავო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ გაერთიანებულ გერმანიასთან, თუმცა თვით ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, როგორც ცნობილია, ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდნენ და უქმნიან გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე.

დასასრულ კ. ჰერტერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განიხილეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დართული ჰქონდა საბჭოთა კავშირის 1959 წლის 10 იანვრის ნოტას, ამასთან ეს პროექტი შესწავლილ იქნა, მისი სიტყვით, მეტად გულმოდგინედ იმ იმედით, რომ შეიძლება მან დასახოს გზა მუდმივი საზავო მოწესრიგების მისაღწევად. ეს რომ ასე ყოფილიყო, განაცხადა კ. ჰერტერმა, შეერთებული შტატები მიესალმებოდნენ საბჭოთა წინადადებას, მაგრამ იგი, ამტკიცებდა კ. ჰერტერი, პირველად, შეიცავს არა ერთ შესაძლო საბაბს მოსაზრებისა და კონფლიქტებისათვის.

ამის შემდეგ, რაც კ. ჰერტერმა დაამთავრა სიტყვა, განცხადება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ა. ა. გრომიკოს განცხადება

ჩვენი თათბირის განსახილველად, თქვა ა. ა. გრომიკომ, წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა წინადადება, რომელშიც ერთმანეთზე გადაბმულია მრავალი საკითხი: გერმანიის გაერთიანება, ბერლინი, უშიშრობა, მშვიდობიანი მოწესრიგება გერმანიასთან, აგრეთვე განიარაღება, ესე იგი როგორც ისეთი საკითხები, რომლებიც როგორც შევთანხმდით, უნდა გაგვეხილა ამ თათბირზე, ისე მთელი რიგი პრობლემები, რომელთაც მათთან დამოკიდებულება არა აქვთ. გამოვიდა რა ამ წინადადების დასაცავად, ბ-ნმა ჰერტერმა პირდაპირ განაცხადა: „გეგმის ყველა ნაწილი დაკავშირებულია ერთმანეთთან და იგი განხილულ უნდა იქნას როგორც ერთი მთელი“.

ნაცვლად იმისა, რომ ზედიზედ ავიცილოთ თავიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობანი, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, სამი სახელმწიფოს გეგმაში ეს წინააღმდეგობანი გადახლართულია ერთ ერთმანეთ. უკვე ის გარემოება, რომ დასავლეთის წინადადებებში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და ბერლინის საკითხი დასმულია გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით, გეგმას ხდის არაბუნებრივს, რომელიც აკმაყოფილებს მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ ექსტრემისტულ წრეებს, რომელთაც კვლავაც სურთ გააქარწყლონ შეთანხმების შესაძლებლობა მომზადებულ საკითხებზე და არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 16 მაისის განცხადებაში აღნიშნა, დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ შემოტანილ წინადადებათა ნამდვილი იერტორია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი და მისი ცხოვრებას მოწყვეტილი პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპაში დაძაბულობის შენელების ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებმა წინათაც იცოდნენ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ჩვენს თათბირზე გერმანიის გაერთიანების საკითხთა განხილვისადმი. მიუხედავად ამისა, დასავლეთის სამი სახელმწიფოს ეტაპობრივ გეგმაში კვლავ ცენტრალურ ადგილზეა წამოწეული გერმანიის გაერთიანების საკითხი. საბჭოთა დელეგაციას, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, შესაძლებლად არ მიუჩნია დაწერილი განიხილოს ღირსებანი და ნაკლოვანებანი შემოტანილი გეგმის ელემენტებისა, რომლებიც ეხებიან გერმანიის გაერთიანებას, რადგან ვერ დაეთანხმება იმას, რომ ოთხმა სახელმწიფომ დაიწყოს ღონისძიებათა შემუშავება ამ საკითხზე, რომელთა შემტანანს უფლება, ხოლო მით უმეტეს განხორციელების უფლება მათ არა აქვთ.

ახლანდელ პირობებში ერთიანი გერმანია შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ორ გერმანელ სახელმწიფოს შორის შეთანხმების შედეგად, რომლებმაც განიცადეს დამოუკიდებელი განვითარების თითქმის ათი წლის გზა. საბჭოთა მთავრობას, აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, საჭიროდ მიაჩნია აქაც ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სხვა გზა არ არის და არც შეიძლება იყოს.

შეეხო რა გეგმის იმ პუნქტს, სადაც ნათქვამია, რომ ოთხმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სრულიად გერმანიის კომიტეტი, ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირი, რა თქმა უნდა, სრულიად გერმანიის კომიტეტის იდეის წინააღმდეგი არ არის. მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაჭრან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებმა, რომელთაც თვითონ შეუძლიათ განსაზღვრონ სრულიად გერმანიის ორგანოს ამოცანები და შემადგენლობა.

შეეხო რა თათბირზე გაკეთებულ განცხადებებს ოთხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ გერმანიის საკითხისა და გერმანიის გაერთიანების გადაჭრისათვის, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ოთხ სახელმწიფოს აკისრია გარკვეული პასუხისმგებლობა გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის. ოთხი სახელმწიფოს მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველყონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად და დასავლეთ ბერლინის საკითხის გადასაჭრელად, თუნდაც უკვე იმიტომ, რომ ეს გეგმა ხელოვნურად აკავშირებს საკითხებს, რომლებიც ეხებიან ამ თათბირის კომპეტენციას, ისეთ საკითხებთან, რომლებიც ეხებიან მხოლოდ და მხოლოდ ორივე გერმანული სახელმწიფოს კომპეტენციას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, განაცხადა მან შემდეგ, მიაჩნია, რომ როგორც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა, ისე დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის გეგმა, პირნეიპულად შეეხაბამება ჩვენს მოთხოვნას მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ და, მაშასადამე, გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, აგრეთვე ევროპის ყველა ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ლ. ბოლცმა, თათბირზე იმყოფება, რათა განაცხადოს გერმანელი ხალხის განუყრელი უფლება დადოს საზავო ხელშეკრულება, და კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზავო კონფერენციის ესწრაფესი მოწვევა მას მიაჩნია გადამწყვეტ ნაბიჯად ევროპის ცენტრში მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევის გზაზე.

* * *

ა. ა. გრომიკოს განცხადება ეხება ორ ფაქტს, ორ ფაქტორს, ორ ძირითად ფაქტორს, ორ ფაქტორს, ორ ფაქტორს, ორ

ესტრადა

საინტერესო შეხვედრა

სამგანყოფილებიანმა საესტრადო კონცერტმა, რომელიც ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია საესტრადო ხელოვნების მოყვარულთა შორის, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი პირველად იმართებოდა ასე უჩვეულო „საკონცერტო დარბაზში“ — ცირკში, ხოლო რაც მთავარია, იმიტომ რომ, აქ პირველად ასე ფართო მასშტაბით და ფართო აუდიტორიის წინაშე ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართული ესტრადის გამოჩენილი ოსტატები და ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი საესტრადო შემსრულებლები.

კონცერტმა ცხადყო, რომ ჩვენს ნიჭიერ საესტრადო ახალგაზრდობას არათუ შეუძლია ვეტერანთა გვერდით ღირსეულად გამოსვლა, არამედ მას საერთოდ შეუძლია იყოს ვეტერანთა ღირსეული ცვლაც.

მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია შეაფასო ეს საინტერესო და დიდი კონცერტი. მასში უაღრესად ბევრი სხვადასხვა საესტრადო ჟანრის, სტილის, ასაკის თუ რეპერტუარის შემსრულებლები გამოდიოდნენ. ჩვენმა მაყურებელმა სიყვარულითა და აღტაცებით მიიღო ქართული ესტრადის ვეტერან-ოსტატების — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტების ემანუელ აფხაიძის და აკაკი კვანტალიანის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტების სესილია თაყაიშვილის, სანდრო ყორეოლიანისა და ალექსანდრე გომელაურის გამოსვლები.

კონცერტზე დიდი წარმატება ხვდა თბილისის რკინიგზელის სახლთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ნიჭიერ ახალგაზრდულ ანსამბლს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. დარახველიძე. მარტო ის ფაქტი, რომ ეს ანსამბლი მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VI მსოფლიო ფესტივალზე გახდა ლაურეატი და მონაწილეობას მიიღებს ვენაში ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VII მსოფლიო ფესტივალში, თავისთავად მეტყველებს მის უეჭველ ღირსებებზე. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ფაქტიურად პირველად გამოდიან დიდ ესტრადაზე და რომელთა სახელები ფართო მაყურებლისათვის ჯერ კიდევ არ არის ძალიან ცნობილი, მაგრამ რომლებიც უაღრესად ნიჭიერი და შრომისმოყვარენი არიან.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ინსტრუმენტალური სექსტეტი ვანო სარჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტის, ქართული საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტის იური ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. სექსტეტში ბევრი ნიჭიერი სოლისტი ინსტრუმენტალისტი და ვოკალისტია, როგორიც არიან საქსოფონისტი გერმან ჯაფარიძე, პიანისტი მურმან ლანჩავა, რომლებიც ამავე დროს ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის სოლისტები არიან, საესტრადო და უანრული სიმღერების შემსრულებელი ციცინო ფაჩულია და სხვ.

კონცერტზე დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ქართული საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტის ნაზი დუმბაძეს, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა მთელი რიგი პოპულარული ესპანური და მექსიკური სიმღერები, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიოს წევრებს ვ. მაისურაძეს, სანდრო და გურამ ებრალიძეებს, აკომპანიატორ ე. აგაბეკოვას, კონფერანსიეებს მ. ყიფიძეს და მ. ხერხეულიძეს. დასასრულ კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თბილისში გასტროლებზე ჩამოსულმა ცნობილმა სომეხმა საესტრადო მომღერალმა ყაკ დუვალიანმა, რომელიც სომხურ საესტრადო ანსამბლთან ერთად გამოვიდა.

დ. გველესიანი.

* * *

სურათზე: საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინსტრუმენტალური სექსტეტი. სოლისტი ციცინო ფაჩულია.

ფოტო ი. კირშენბლატისა.

ე. ა. გრომიკოს განცხადება

(დასასრული)

მხედველობაში აქვთ უცვლელად დატოვონ ახლანდელი მდგომარეობა, როცა დასავლეთი გერმანია დაადგა ატომური შეიარაღების გზას და ამით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას.

ა. ა. გრომიკომ გააბათილა იმის მტკიცება, რომ საზავი ხელშეკრულების საქმოთა პროექტის მიზანია „დასავლეთი გერმანია გამოიყვანოს ნატოდან“.

ბ-ნ ლოიდს, თქვა მან, ალბათ ახსოვს, რომ შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრისა და თვით ლოიდის მოსკოვში ყოფნის დროს ამა წლის დამდეგს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა პირდაპირ უთხრა ბ-ნ ჰა